

იმისთანა წმინდა საცმეში, ტოტოტიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭბრბით ბუბთის გაფანა ყუულა უჯადბისბბაჭე უსაბაგლუსია.

**დაარსებულია 1918 წელს.**

სამუშაოთი, **13** მაისი, 2014 წელი.

№92 (7473)

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

## ირაკლი ლარიბაშვილი: ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც დაპირება შეასრულა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი გორში, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. განმოსვლისას განაცხადა:

„ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც შეასრულა დაპირება და ხელისუფლების პოლიტიკური წინესიგან გაათავისუფლა სასამართლო, პოლიცია, ბიზნესი, მედია. უკვე დაწყებულია და უნდა განვავითაროთ ხელსაყრელი პირობები ბიზნესისა და მენარმეობისათვის. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება, ინვესტიციების მოზიდვა, ქვეყნის საწარმოო და

სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა, დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილები ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი და ამოცანაა.

ჩვენ ვზრუნავთ განათლებაზე, სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, გავზარდეთ აბიტურიენტების დაფინანსება, 17 ფაკულტეტი გავსაღებოთ უფასო სტუდენტებისთვის. ყველა ნიჭიერ და ხელმოკლე ახალგაზრდას ვაძლევთ საშუალებას, გააგრძელონ საზღვარგარეთ სწავლა“.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, სოფლის სიძლიერე არის ჩვენი ქვეყნის სიძლიერე და ხელისუფლებამ სოფლის ხელშეწყობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი

პროექტები დაიწყო. მისივე თქმით, შიდა ქართლს და გორს ყოველთვის ჰქონდა და ექნება თავისი როლი ქართული სოფლის აღორძინების საქმეში.

პრემიერის განცხადებით, სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია მოქალაქეების ჯანმრთელობა და წარმატებით განხორციელდა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა.

მე კარგად ვიცი, რომ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს ჩვენს ქვეყანაში. უნდა ვალია-რო, რომ ჩვენ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო თითქმის ყველა სფეროში, მაგრამ ჩვენ ამ პრობლემების არ გვეშინია.

პრობლემების მოგვარებაში თითოეული თქვენგანის ჩართვის საშუალებას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის

არჩევნები, რომელიც არ ჰგავს წინანდელ არჩევნებს. ახალი თვითმმართველობის სისტემა საშუალებას გვაძლევს, ყველა პრობლემა პრიორიტეტების მისხედვით თქვენი გადაწყვეტილების მისხედვით ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ადგილზე მოაგვაროთ“, – განაცხადა ლარიბაშვილმა.



პრემიერი გორში – ლარიბაშვილის მიმართხ მოსახლეობას

**ჰეიდარ ალიევი – საქართველოს მემობარბი**

3

**ერთი ლიდერი დამანახონ „ქართულ ოცნებაში“ და მერე აკრიტიკონ სხვა ლიდერები**

5

6

**ამერიკა-პროპინსადმი კერბთაყვანისმხველობა ისთიხე მიულაბულია, რობორს პიტნა – პირისთვის...**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაბან ვერ ნახავ!..





10 მაისი აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევი ოლიგოპოლის დაბადების დღეა. ამ დღეს აზერბაიჯანელი ხალხი აღნიშნავს როგორც უმნიშვნელოვანეს თარიღს.

ჰეიდარ ალიევი დაიბადა 1923 წლის 10 მაისს აზერბაიჯანის ქალაქ ნახჭევანში. 1939 წელს ნახჭევანის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრებისთანავე, მან აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა (ამჟამად აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის აკადემია). დაწყებულია დიდმა სამამულო ომმა მას განათლების ბოლომდე მიღებაში ხელი შეუშალა. 1941 წლიდან ნახჭევანის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში და ნახჭევანის ასსრ სახალხო კომისარიატის საბჭოში მუშაობდა განყოფილების გამგედ, 1944 წელს კი სამუშაოდ გაგზავნეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. ამ პერიოდის დასრულებული, 1964 წლიდან, ჰეიდარ ალიევის, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 1967 წლიდან კი - აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. ამ წლებში მან ლენინგრადში სპეციალური უმაღლესი განათლება მიიღო, 1957 წელს კი აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა.

1969 წლის ივლისში ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივად აირჩია. 1982 წლის დეკემბერში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრად, დაინიშნა სკკპ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე და გახდა სსრკ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ჰეიდარ ალიევი ოცი წლის განმავლობაში იყო სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, 5 წლის მანძილზე კი სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1987 წლის ოქტომბერში ჰეიდარ ალიევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროსა და პირადად გენერალური მდივნის მინიჭებული გარდასახვის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ პროტესტის ნიშნად დააკავეს უფროსი თანამდებობაზე და დააპატიმრა.

საბჭოთა ჯარების მიერ 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში მოწოდებულ სისხლიან ტრაგედიასთან დაკავშირებით, მის მეორე დღესვე, მოსკოვში აზერბაიჯანის წარმომადგენლობაში განცხადებით გამოსულმა ჰეიდარ ალიევმა მოითხოვა აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემსრულებლების და ორგანიზატორების დასჯა. 1991 წლის ივლისში მითინა ყარაბაღში მომხდარ მხარე-მხარეობის ტანად დაკავშირებით მან სსრკ ხელმძღვანელობის ორპირული პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად დატოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგები.

1990 წლის ივლისში აზერბაიჯანში დაბრუნებული ჰეიდარ ალიევი ჯერ ბაქოში, შემდგომ კი ნახჭევანში ცხოვრობდა. ამავე წელს იგი აირჩიეს აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 1991-1993 წლებში ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი მეჯლისის თავმჯდომარის, ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები ეკავა. 1992 წელს ქალაქ ნახჭევანში პარტია „იენი აზერბაიჯანის“ დამაარსებელ ყრილობაზე ჰეიდარ ალიევი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

როდესაც 1993 წლის მაის-ივნისში სახელმწიფო კრიზისის უკიდურესად გამწვავების შედეგად ქვეყანაში სამოქალაქო ომის და დაპოუქმების დაკარგვის საშიშროება განჩნდა, ხალხი ჰეიდარ ალიევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის მოთხოვნით გამოვიდა.

აზერბაიჯანის მაშინდელი მმართველები იძულებულნი გახდნენ ოფიციალურად მიენიჭათ ჰეიდარ ალიევი ბაქოში. 1993 წლის 15 ივნისს იგი აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, 24 ივლისს კი მილი მეჯლისის გადამწყვეტილებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელება დაიწყო. 1993

წლის 3 ოქტომბერს საერთო სახალხო არჩევნების შედეგად ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. 1998 წლის 11 ოქტომბერს, მაღალი სახალხო აქტივობის პირობებში ჩატარებულ არჩევნებზე, მოაგროვა რა ხმების 76,1 პროცენტი, იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს. ჰეიდარ ალიევი, რომელიც დათანხმდა 2003 წლის 15 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო უარი თქვა მასში მონაწილეობის მიღებაზე.


ჰეიდარ ალიევის მინიჭებული ჰქონდა მრავალი საერთაშორისო პრემია, სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტთა საპატიო დოქტორის და სხვა მაღალი საპატიო წოდებები. იგი ოთხჯერ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ნიჟე-ლი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით, ორჯერ მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო უცხოეთის ორდენებითა და მედლებით.

აზერბაიჯანის ისტორიული ბედი, რომელიც 30 წელზე უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, უწყვეტად არის დაკავშირებული ჰეიდარ ალიევის სახელთან. ამ წლების განმავლობაში

- 1996 წლის მარტი - აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ოფიციალური ვიზიტი თბილისში;
- 1998 წლის 8 სექტემბერი - ჰეიდარ ალიევი და ედუარდ შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა „დიდი აზრების გზის“ აღდგენას. კონფერენციას ესწრებოდნენ დელეგაციები 32 ქვეყნიდან და 13 საერთაშორისო ორგანიზაციიდან;
- 1998 წლის 10 ოქტომბერი - ორმა პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღეს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ტრასეგას ხიდის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში;
- 1999 წლის 17 აპრილი - პრეზიდენტმა ალიევმა მონაწილეობა მიიღო სუფსის ტერმინალის გახსნაში;
- 2000 წლის 22-23 მარტი - პრეზიდენტ ალიევის ვიზიტი თბილისში; სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ ეს ძმური და პარტნიორული ურთიერთობა ამჟამადც შემოქმედებითად გრძელდება.

# ჰეიდარ ალიევი - საქართველოს მეგობარი

## აზერბაიჯანი და საქართველო - მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის მერიდიანები



ბაში წინსვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული.

თავისი მმართველობის პერიოდში ჰეიდარ ალიევი მხარში ედგა მშობელ ქვეყანას, რომლის პროგრესის გზაზე იგი ყოველთვის ამყოფებდა მდიდარი კულტურით, დიდი ისტორიული წარსულით, ყველაფერს აკეთებდა, რათა აზერბაიჯანს უმტკივნეულოდ გადაეღებინა დროის მძიმე და მკაცრი გამოცდა.

გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე და თავისი ხალხის უდავო ლიდერი, იგი სიცოცხლეშივე ცოცხალ ლეგენდად იქცა. ამიტომ ჰეიდარ ალიევის, ამ საერთო ეროვნული ლიდერის, მშობლივად პოლიტიკური მოღვაწეობა, ალიევის ფენომენი ყოველთვის იყრებოდა ყურადღებას. აღტაცებას იწვევდა, ფართოდ შუქდებოდა მსოფლიო ბეჭდვით ორგანოებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1993 წლის ივნისში, როდესაც აზერბაიჯანელი ხალხი დარწმუნდა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა მუქარის წინაშე დგას, რომ ქვეყანას უმძიმესი დღეები დაუდგა, მან დაუჩინებლად მოითხოვა არსებული ხელისუფლების შეცვლა და თავისი ბედი ხელახლა მიანდო ჰეიდარ ალიევს. მან მიიღო ხალხის დაუჩინებელი მოწვევა და დაუბრუნდა დიდ პოლიტიკას. ხალხი ჰეიდარ ალიევის დაბრუნებას იმედით და სიხარულით შეხვდა და ის დღე დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში შვიდი, როგორც მრავალწლიანი სხვის დღე.

ჰეიდარ ალიევი საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობათა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ამ მხრივ აღსანიშნავია რამდენიმე ძირითადი მომენტი:

- 2007 წლის ნოემბერი - საფუძველი ჩაეყარა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ქართულ ნაწილს;
  - 2008 წლის მაისი - ნავთობტერმინალის გახსნა ყულევეში.
  - 2008 წლის 1 ივლისი - ბათუმში „სუამის“ მესამე სამიტი გაიმართა. ასევე ბათუმის ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინის გაზიფიკაცია დასრულდა; ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება.
  - 2010 წლის 18 ივლისი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვიზიტი ბათუმში;
  - 2014 წლის 22-23 თებერვალი - საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი ბაქოში;
- 2014 წლის 6 მაისს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამიტი თბილისში. ყველა ურთიერთობა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სტრატეგიული და მეგობრულია.

ერთობა სხვაობებში, ყოველმხრივი მისასალმებელი და მხარდასაჭერი, რომ აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების დროით გახორციელი ქმარი, კეთილშობილური და ურთიერთსარგებლო თანამშრომლობა, რასაც გასულ საუკუნეში, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანში პეიდარ ალიევის პირველ ხელმძღვანელად მოსვლის შემდეგ, ახალი იმპულსები მიეცა, დღესაც ინტენსიურად ვითარდება და სამომავლოდც საუცხოო პირსაძირით სსხვს.

აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში



ჰეიდარ ალიევის ძეგლი რუსთაველი

უპატიურობას თითქმის არაფერი მოეხვედრება: მისთვის და გამოხატვის სივრცე არაა...

ლარსი ქაქა სახეობა

მინაწერილი ცეცხლის გამოწვევის როლი გასულ კვირას ცნობილ პუბლიცისტს, განმანათლებელს, ქართული სამართლისა და ჟურნალისტიკის მოამბეებს ნიკა გვარამიას ერგო...

ვინაიდან გამოქვეყნებული ფრაგმენტების მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია...

მოდი, ვთქვათ გულახდილად - ისინი (გვარამია, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, კუზნაშვილი, კოდუები, ახალაიები, ხაჩიძე-ნიკოლაურები, ნაცმოძრაობის იდეოლოგები, სხვისთვის წართმეული ქონებით გამდიდრებული, ხელისუფლების მიერ მოსყიდული გადაბირებულები, „ზონდერბრიგადების“ წევრები, „რუსთავი 2“-ის პროპაგანდისტული მანქანის მძღველები, პრეზიდენტზე გულწრფელად და ყასიდად შეყვარებული ქალბატონების ჰამიკარი, პირადად სააკაშვილი და მისი „სიცილიური ოჯახის“ წევრები...) მართლაც არიან სისტემის მსხვერპლი. იმ სისტემისა, რომელიც შექმნეს პირადად სააკაშვილმა და მისმა „მოიერიშე“ ჯგუფმა ადეიშვილი-ბოკერია-რამიშვილის იდეური წინამძღოლობით...

ვინაიდან ამ სისტემის ერთ-ერთი შემოქმედით გახლდათ თავად ნიკა გვარამია, ვინაიდან ჯერ კიდევ მეთქმედად ცხოველია ხსოვნა პროკურორ ნიკა გვარამიას ყოვლად ამაზრზენ „კინოდოკუმენტალისტურ მოღვაწეობაზე“, მისმა განცხადებამ ქართველ საზოგადოებაზე საგარეაუღო „შოკისმოგვრელი ეფექტი“ ვერ იქონია...

ვინაიდან, რა იქნება ზეგ. იმედია, გვარამიას ჭკუა ეყოფა და ნაცმოძრაობას საკუთარი ნებით საფლავში არ ჩაჰყვება...

ამჯერად ბევრად და სიამოვნებით შესასრულელს ოპოზიციის მოთხოვნას...

ეს ის შემთხვევაა, როცა ნაცრის გაქეპვას, შესაძლოა, მრისხანე ხანძრის აგროვიზება და ტრაგიკული შედეგები მოჰყვებდნენ არამარტო ნაცარქეპებისთვის...

სპლიანი ზეიმი

ცხრბ მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავი ვიზეიმეთ. ამჯერად ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა ქარაგმები „სხვის ომზე“, ფაშიზტი გენერალმა...

მათი მისამართი ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა. ხელისუფლების მხრიდან იყო დაბირება ვეტერანებისა და მარჩენალთა კარგულთა ერთგულებად დახმარებაზე...

სანამ ზეგო გაპარჯვების ყიჟინას დასჯავს



მათი მისამართი ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა. ხელისუფლების მხრიდან იყო დაბირება ვეტერანებისა და მარჩენალთა კარგულთა ერთგულებად დახმარებაზე...

არა მგონია, ქართველ ფულიან ქველმოქმედებსა და ხელისუფლებას წარმოადგენლებს გული აუწვიანებდეს, მაგრამ მაინც მათ და ქვეყნის გასაგონად ვიყვირებ...

გასულ კვირაში კიდევ ერთი ძალიან ხმაურიანი ზეიმი თბილისის სპორტის სასახლეში...

შიც გაიმართა - ნაციონალურმა მოძრაობამ საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყება გავამცნო...

ზეიმს ვერ დავარქმევ, მაგრამ გასულ კვირაში კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი შევიტყვევეთ, თანაც, ვინმე ინფორმატორის ან საზღო პირისგან კი არა, უშუალოდ პირველ წარმომადგენელს „პატივითა და პატივითა“ თბილისის მერობის კანდიდატად ნაციონალების ერთ-ერთი მესაფლავე, კომპრომატების დელოფალი, ყურნალისტი ირმა ინაშვილი დაასახელა...

დიდი ინჟინერობის გასცხევა



ბასსულ კვირაში კვლავ ძალიან პოპულარული იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის თემა...

ბის წარმომადგენლები და კანონის მიღების მომხრეები

მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ ეკლესიის სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა არის უმოკლესი გზა ინვესტიციისაკენ...

რჩება შთაბეჭდილება, რომ რაღაც უხილავ ძალებს ძალიან უნდათ საქართველოში დაძაბული პოლიტიკური ვითარების შენარჩუნება და ამისთვის ერთობ წარმატებით იყენებენ სულიერების უფაქიზებს და უმტკიცეველებს თემებს...

ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ნაციონალური თანამშრომლობის ნიმუშად შეგვიძლია, მივიჩნიოთ გასულ კვირაში მის უწყის მინდვრებზე...

ეს ნაპარკო რა ყოფილა!

სწორედ იმ ნაგაროზე მოგახსენებთ, რომლის NDI-ის სოციოლოგიურ გამოკვლევებს არავინ ენდობა და უკლებლივ ყველა დროისა და ყველა დონის საარჩევნო კამპანიისას მის გამოკვლევებს ყველა მინც გულისფანცქალით ელის...

თითქმის დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ ეს ფაქტი ნაცმოძრაობის იდეოლოგიამ ასე „თარგმანა“ ალასანიას ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად დასახელება...

ლარბაშვილი ახალგაზრდაა, პერსპექტიულია, პრემიერ-მინისტრია, ბიძინა ივანიშვილის რჩეულია, მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საკმარისი პოპულარობისთვის...

რაც მთავარია, ირაკლი ლარბაშვილს დღეს უჭირავს ძალიან მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, ძალიან არაპოპულარული თანამდებობა. თავი დავანებოთ იმას, რომ მისი ყოველი მოქმედება, ყოველი გადაწყვეტილება, ყოველი სიტყვა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს...

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, მან თავისი პოლიტიკური ბიოგრაფია თვითონვე შექმნა - არც მამამ, არც სიმამრმა, არც ვინმე ყოვლისშემძლე მფარველი! თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის ქვეყნის თავდაცვის მინისტრია და ბევრი რამ მისი მოღვაწეობიდან გასაიდუმლოებულია...

ამიტომ მგონია, რომ ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირების ინდიკატორად ნავაროს რეიტინგები ვერ გამოდგება.

ვინაიდან სიტყვა ალასანიასზე ჩამოვარდა, ბარემ ვიტყვი, რომ იგი გასულ კვირაში ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა...

...ზეგო კი ორმოში ზის და ელის სასწაულს, რომ მერე მოქმედებსაც ახაროს. იცის, ეს არასოდეს მოხდება, მაგრამ მაინც ზის და ჯიუტად ელის - ასე დაავალა მისმა მბრძანებელმა...





# თემის გაბრკელება

„საქართველოს ნამდვილი აქცეს ნავთობისა და გაზის იმხელა მარაგი, რომ არა მარტო უზრუნველყოს ამ ენერჯეტიკული სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლობა, არამედ გააძლიეროს კიდევ ნავთობი“... — ეს მცირედი ამონარიდი ჩვენი გაზეთის 2013 წლის 28 ნოემბერს გამოქვეყნებული მასალიდან — „ნიაღვრე ჩამალული ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაღებიდან“ ამოკვეთილი. სტატიის საკვანძო ნაწილის დასრულების შემდეგ, სტატიის დასრულების შემდეგ, სტატიის დასრულების შემდეგ, სტატიის დასრულების შემდეგ...



2012 წლებში აზერბაიჯანში ნავთობმოპოვებისგან მიღებული მთლიანი მოგება 300 პროცენტი შეადგინა — ასეთია დარგის რენტაბელობა სწორედ მარტის პირობებში. ამ ფონზე, უაღრესად სამწუხაროა, რომ 1995 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ნავთობმოპოვების დარგში ჩადებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად, სამუშაოების საერთო შედეგი უაღრესად არადაამაკმაყოფილებელია, რის შედეგადაც მთავრობამაც და ინვესტორებმაც მილიარდობით დოლარი მოგება დაკარგეს. მაგნიტი ხშირად საჯაროდ აცხადებენ — საქართველო ღარიბი ქვეყანაა, ნავთობი არა გვაქვს, რაც დარგისადმი წინა ხელი-სუფლების მცდარი მიდგომის საფუძველი იყო. მხარეთა შორის, ის ხელისუფლება კი წავიდა, მხარეები დარგს ის არაფერში არ დატყობნა, არაფერსა-საქართველოში არის დიდი ნავთობი, საჭიროა მხოლოდ ძვირად შეიძინო ხელისუფლების პოლიტიკური ნიშნები და სწორი მიმართება, — ასეთია სპეცი-ალისტების დასკვნა.

— სამწუხაროდ, სასიხარულო და დასატრიალებელი ბევრი არაფერი გვაქვს, — გულდასწყვეტილი დაინყობა ბატონმა ზურაბმა. — საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ შარშან, საქართველოს ენერჯეტიკისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრების მონაწილეობით გამართულ თათბირზე, რომელზეც „საქართველოს ნავთობის დარგის განვითარების კონცეფცია“ განიხილეს, გადაწყდა აღნიშნულ ეკონომიკის საფუძველზე სახელმწიფო პროგრამის პროექტის დასამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნა, რაც გაკეთდა კიდევ ენერჯეტიკის სამინისტროს სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის გიორგი ტატიშვილის ბრძანებით. სხენებულ თათბირზე მთავარი იყო იმ კითხვაზე პასუხის მიღება, ინვესტორთა 18-წლიანი მუშაობის შემდეგ რატომ იყო ქვეყანაში ნავთობი ძალიან მცირე ოდენობით მოპოვებული. კერძოდ, 1995 წელთან შედარებით, 2012 წელს ორჯერ ნაკლები „შავი ოქრო“ იქნა ამოღებული წიაღიდან, თანაც არც ერთი ახალი საბადო არ ყოფილა აღმოჩენილი. ეს კითხვა მაშინაც უპასუხოდ დარჩა, — ამბობს ბატონი ზურაბი.

## განძი, როგორ გააოყენებ ას არაპირს არ ცდილობს!

ანუ ნავთობი სარკვევით გუკლებიდან და სსრკ-ს ყრილობებიდან?

ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ენერჯეტიკისა და ეკონომიკის მინისტრების სახელზე გაგზავნილი წერილში, რომელსაც კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფციის დამატებითი დოკუმენტაციის სახით ორი მასალა, კერძოდ, „საქართველოს ნავთობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი და „XXI საუკუნის ინოვაციური ტექნოლოგიები — საქართველოს განვითარების ხელშეწყობის განხორციელების საფუძველი“ დაუროეს, ნავთობისა და გაზის დროებითი კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მგელაძემ და ექსპერტ-ორგანიზატორმა იური ბახტაძემ ხაზგასმით აღნიშნეს: „ნამდვილი ნავთობმოპოვებელი ქვეყნებში ნავთობის დარგი მთავრობის პირველი პირობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რაც განაპირობებს ამ ქვეყნების ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებას. პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა თქვენი ხელის შეწყობა ნავთობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტის წინსვლისთვის“.

სეობის თაობაზე დეტალური ლაპარაკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინა პუბლიკაციაში გვექონდა, ამდენად გამოვრებას აღარ შევუდგებით, თუმცა კი, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველსაყოფად არსებული შესაძლებლობების წარმოსაჩენად, რომლებსაც, ნებისთი თუ უნებლიეთ, ხელიდან ვუშვებთ, დამატებით გარკვეულ მონაცემებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც ბატონების ზურაბ მგელაძისა და იური ბახტაძის მიერაა მოწოდებული. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მეტად საგულისხმოა გაერომოება, რომ საბარტოში 4,48 მილიონი კაცი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოდენობა დაახლოებით იმდენივეა, რაც აზერბაიჯანში. კერძოდ, ჩვენში დათმობილი ნავთობის რესერვუარი 2 მილიარდ 350 მილიონი ტონაა, აზერბაიჯანში — 4 მილიარდ 480 მილიონი ტონა. საბარტოში მონაცემებიდან მხოლოდ 0,25 პროცენტს ვახერხებთ (0,05 მილიონი ტონა). ყოველივე ეს კი, როგორც სპეციალისტები განმარტებენ, არა ობიექტური, არამედ სუბიექტური მიზნებითაა გამოწვეული, კერძოდ გე ბოლო წლებში ნავთობის დარგის არაპროპეტენტური მართვით.

ეროვნულ-სახელმწიფო პროგრამის პროექტში „საქართველოს ნავთობისა და გაზის საძიებო და მოპოვებელი დარგის განვითარების სისტემური მოდელირების, მონიტორინგისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე“, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „90-იანი წლების ბოლოს დათვლილი იქნა ნავთობის პროგრამის რესურსები, რომელმაც შეადგინა 2 მილიარდ 350 მილიონი ტონა, ხოლო გაზის რესერვუარი — 180 მილიარდი კუბური მეტრი. ქვეყანა, თავისი ნავთობის რესურსებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანჯარიშებით, აჭარბებს რაც ნავთობგაზმოპოვებელი ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკაში ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ... თუკი ქვეყანაში შეიქმნება ნავთობგაზძიების ხელსაყრელი პირობები, ახალი საბადოების აღმოჩენას და ამოკვებებას დაახლოებით 3-5 წელი დასჭირდება. უფრო სწრაფად ნავთობის მოპოვების გაზრდა შესაძლებელია ადრე აღმოჩენილი საბადოების რეაბილიტაციით, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით“.

საქართველოში, აზერბაიჯანთან შედარებით, მართალია, ნავთობის მარაგები დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, სამაგიეროდ მოსახლეობის რიცხოვნობის მხრივაც ასეთივე თანაფარდობაა, მაგრამ, ჩვენ, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ბოლო წლებში სასაქონლო ნავთობის საშუალო მოპოვებას გათვლილი ოდენობიდან მხოლოდ 0,25 პროცენტს ვახერხებთ (0,05 მილიონი ტონა). ყოველივე ეს კი, როგორც სპეციალისტები განმარტებენ, არა ობიექტური, არამედ სუბიექტური მიზნებითაა გამოწვეული, კერძოდ გე ბოლო წლებში ნავთობის დარგის არაპროპეტენტური მართვით.

სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამჟამად ნავთობმოპოვების დარგი უმძიმეს მდგომარეობაშია, რაც მისი მუშაობისა და განვითარების მიმართ წინა ხელისუფლების უარყოფით დამოკიდებულებასთან, ინვესტირების მუშაობის შეფასების არასწორი კრიტერიუმების არჩევასთან, რთულ გეოლოგიურ პირობებთან და ტრადიციულად გამოყენებადი ტექნოლოგიების დაბალ ეფექტიანობასთან, აგრეთვე კომპანია „საქნავთობის“ გაუქმებისთანა დაკავშირებული. საქმე, ფაქტობრივად, ისეა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ნავთობი კი არის, მაგრამ მას ძალიან ცოტას მოვიპოვებთ, რის გამო ქვეყანა წელიწადში რამდენიმე მილიარდ დოლარს კარგავს, რაც მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის ამალღების შესაძლებლობას უკიდურესად ზღუდავს. ვითარების მოკლე დროში, ეფექტიანად და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მცირე დანახარჯით შესაცვლელად, მათი აზრით, საჭიროა „საზოგადოებასა და მთავრობაში ნავთობის რესურსებისა და მარაგების შესახებ არასწორი წარმოდგენის უარყოფა, დარგში უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, აგრეთვე სპეციალიზებული სახელმწიფო სამსახურის შექმნა“.

აზერბაიჯანში ინვესტირების წილად მოპოვებული ნავთობის რაოდენობა 75-80 პროცენტია, დანარჩენი ადგილობრივ მენავთობებზე მოდის. საქართველოში კი მოპოვებული ნავთობის მთელ მოცულობას ინვესტორები იღებენ. 2001-

დასტურდა ამა წლის 19 მარტით (№ 04-01/106) დათარიღებული საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის გიორგი ტატიშვილის მიერ ნავთობისა და გაზის დროებითი კომისიის (რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდთანაა შექმნილი) ექსპერტ-ორგანიზატორის იური ბახტაძის სახელზე გამოგზავნილი წერილის რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„თქვენი მტკიცებით, რესურსების გაანგარიშება ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში აღემატება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს და უტოლდება აზერბაიჯანისა და ერანის მაჩვენებლებს, რაც სრული დემაგოგიაა. ეს მაჩვენებლები მართებულია მხოლოდ სოფ. სართიჭალის ფართობზე მოპოვებული ნავთობისა და მისი მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში.“

... რაც შეეხება თქვენს კონცეფციას იმის შესახებ, რომ ნავთობის დიდი საბადოების აღმოჩენა შესაძლებელია ქაბურღილების ნაკლები რაოდენობის გაბურღვით და მცირე დანახარჯებით, ნავთობის ძებნა-ძიების სფეროში ეს მოსაზრება მართლაც „ინოვაციაა“. თქვენი აზრით, საქართველოში ბევრი ნავთობი არსებობს, მაგრამ ის არ მოიპოვება არასწორი მენეჯმენტის გამო, რაც არასწორია...“ შემდეგ სააგენტოს უფროსს მოჰყავს მონაცემები დარგში ბოლო წლებში, ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შესახებ, კერძოდ, 2010 წ. — 50,199 მილიონი დოლარი, 2011 წ. — 67,8 მილიონი დოლარი, 2012 წ. — 69 მილიონი დოლარი, 2013 წ. — 100 მილიონი დოლარი. ამის მერე კი, ერთგვარი რეზიუმეს სახით, ბატონ ტატიშვილს ვერდიქტიც აქვს გამოტანილი: „საზგასმით აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად დარგში მომუშავე სპეციალისტების კონცეფციის მიმართ უკიდურესად უარყოფითი განწყობისა, სააგენტოს უფროსის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შედგა რამდენიმე შესყდრა, სადა, ჩვენი მრავალი მცდელობის მიუხედავად გაგვერკვია, თუ რა კონკრეტულ პრობლემებს, მეთოდებს, აპარატურას, დანადგარებს ან ინოვაციებს გულისხმობთ, პასუხი ვერ მივიღეთ. 300-გვერდიან „კონცეფციაში“ მოყვანილია მხოლოდ ამონარიდები სარეკლამო ბუკლეტების სათაურებიდან და სსრკ-ს ყრილობის მასალებიდან“.

კარგად გვესმის, რომ ნებისმიერ, რაენდ კარგ და გამართულად დალაგებულ კონცეფციას, დარგში მომუშავე ცალკეულ სპეციალისტებში მოწინააღმდეგეები შეიძლება გამოიჩინდეს, მაგრამ მთავარი ამ დოკუმენტში, ჩვენი აზრით, მინუსი ისაა, რომ მასში კარგად ჩანს მთავრობის მაღალჩინოსანთა სურვილი, — განავრძინო მძელი ხელისუფლების მიერ აღებული კურსი, რაც, ფაქტობრივად, წიაღში ჩამალული სიმდიდრის ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენებას გადაუღახავ ზღუდვად ეღობება. თუ რის მომტანია ეს ერის კეთილდღეობისთვის, ამის განსჯა თითოეულ ჩვენგანს თავად შეუძლია.

ოთარ ტურაბაილიძე

P. S. რაც შეეხება ბატონ ტატიშვილის წერილის სტილსა და ფრაზოლოგიას — „ამონარიდები სარეკლამო ბუკლეტების სათაურებიდან და სსრკ-ს (ისე, სხვათა შორის, ყრილობებს მართავედა სკვპ და არა სსრკ — ო. ტ.) ყრილობების მასალებიდან“, ამის თაობაზე აღარაფერს ვიტყვით.

ო. ტ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ოფისში ჩამწერი მონაცემების აღმოჩენის შესახებ (შეგახსენებთ, ტელეკომპანია ეკუთვნის საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეგობრებს). შედეგად ტელეარხისა და ხელისუფლების ხელმძღვანელებმა ბრალი დასდეს ერთმანეთს უკანონო მოსმენაში, მათ შორის, სატელეფონო საუბრებისაც. ექსპერტები არ გამოიცილებენ, რომ მთელი ისტორია — ეს არის მხოლოდ ბრძოლის ექო ხელისუფლებისათვის ძალადგანი სტრუქტურების შიგნით. მაგრამ სკანდალი მონაშთს სხვა რამეზეც: მიუხედავად ხელისუფლების შეცვლისა ქვეყანაში და ვრცელი საზოგადოებრივი კამპანიისა „მოსმენებისა და თვალყურის დევნის წინააღმდეგ“, ამგვარი პრაქტიკა საქართველოში შენარჩუნებულია.



საქართველოს პროკურატურა განსჯის, თუ ვინ ვის უშენს

ნებადღე რამდენიმე თვით ადრე, როდესაც რეალური ხელისუფლება ქვეყანაში უკვე მიღწეულ ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნოდა. ალსანიშნავია, რომ ტელეარხის ხელმძღვანელმა ალიარა, რომელიც 2007-2008 წლებში მას ეკავა გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტი, „პირადად ხელს უწყობდა მავნე პრაქტიკის დანერგვას“. რამაც არ შეუშალა მას ხელი, ბრალი დაედო ახალი ხელისუფლებისთვის იმაში, რომ მან „არა მხოლოდ არ თქვა უარი ამ პრაქტიკაზე, არამედ მოახდინა მოსმენებისა და დევნის ინტენსიფიცირება“.

იმავ დღეს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ხოჭოები“ „რუსთავი-2“-ის ოფისში დააყენეს ჯერ კიდევ 2012 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი დაცვის წარმომადგენლებმა, თანაც გვარამიამ ამის შესახებ იცოდა, ხოლო „ფსევდო სკანდალის“ პროვოცირება მოხდა ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის. ნიკა გვარამიამ ამ ურთიერთბრალდებებს ახალი ბრიფინგით უპასუხა. მან აღიარა, რომ სახელმწიფო დაცვის ოფიცრები მართლაც იმყოფებოდნენ ოფისში მისი თხოვნით, მაგრამ არა დასაყენებლად, არამედ „ხოჭოების მოსაძებნად“. ბატონი გვარამიას ვერსიით, ამერიკული აპარატურის მოსასმენი მოწყობილობის ძიებამ შედეგი არ გამოიღო, სკანდალური „ხოჭოები“ კი დააყენეს მოგვიანებით, თითქოსდა, უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელების აქტიური ხელშეწყობით, რომლებმაც შემდეგ სასჯელის დასაჯების სამინისტროში მიიღეს მაღალი ანაზღაურების თანამდებობები.

ხელისუფლება და ოპოზიცია ბრალს სდებენ ერთმანეთს მოვილური კავშირების უკანონო მოსმენაში

დედაჩინის ჯურჯა



ირანელი სახმადგროვებმა წარმოადგინეს ამერიკული უპილოტო-უსილაში თვითმფრინავის ასლი. ამერიკელმა სახმადგროვებმა საჯარო აპარატი, რომელიც გაუშვეს ცაში ირანის თავზე 2011 წლის დეკემბერში, დაიკარგა, როგორც ამტკიცებდნენ ტექნიკური პრობლემების გამო. 2,5 წლის განმავლობაში ირანელმა სპეციალისტებმა შეძლეს დაუფლებოდნენ ამერიკულ ტექნოლოგიებს და აეგოთ აპარატის ზუსტი ასლი. ირანული უპილოტო თვითმფრინავი აგებულია, როგორც მზვერავი თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია თვითმკვლელობის მისიის შესრულება.

ვიტნამის ჩინეთს ბრალი დასდოთ თავისი საბაჟო საზღვრების დარღვევაში



ვიტნამელი სახმადგროვების სიტყვებით, საზღვრების მრავალჯერად დარღვევას მოხდა სამხრეთ-ჩინეთის ზღვის რაიონში, სადაც ჩინელებმა, მიუხედავად შანონის პროტესტებისა, დააგეს თავიანთი საბურღი პლატფორმა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახმადგროვო ნომალდებმა დაბლოკეს აკვატორია ობიექტის გარშემო, იქიდან ისინი „ესვრიან“ ვიტნამელ მე-საზღვრებს წყალმფრქვევებიდან.

ჩინეთის სამხრეთში წყალ-დიდობის შედეგად დაზარალებული 1,2 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა



ყველაზე მეტი ნალექი მოვიდა ცუიანის, ხუნანის, გუანდუნის, გუინჰოუს და გუანსის სამხრეთ პროვინციებში ჩუიანის ავტონომიურ რაიონში. წყალდიდობის შედეგად წარმოქმნილია მწვერებმა გაანადგურეს მოსახლეობა 91,1 ათასი პეტარზე. დაახლოებით 1,5 ათასი სახლი დაინგრა, კიდევ 9,2 ათასი — დაზიანდა.

ლიტვაში ბაიბარტაბა პრეზიდენტის არჩევნების მიმართ ტურნე

პრეზიდენტის უფლებამოსილების მეორე ვადაზე პრეტენდენტი, მოქმედი პრეზიდენტი, მისი პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე იტყობინება, რომ მან მიიღო ხმების თითქმის 47 პროცენტი. წინა არჩევნებში, 2009 წელს, გრიბაუსკაიტე აირჩიეს პირველ ტურში — მაშინ მან ამომრჩეველთა ხმების 68,21 პროცენტი მიიღო.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

როგორც მინიმუმი, სამი მილიონი ექსპერტი ვართ ქვეყანაში, ჰოდა, ყველა საქართველოს რომ მივხატით და ერთმანეთს ლუკმას ვაცლით პირიდან, მოვილაპარაკოთ, გადავიწინილოთ მსოფლიო, მილიონი საინტერესო ქვეყანა და რეგიონია დედამიწაზე.

გადის. პროსტა წაიშალა წინააღმდეგობა აი ეს არის უბედურება! ამ საცოდავებს ოცნებაც არ ჰქონიათ ერთადერთი, გვარად არ მასსოვს, იმან თქვა, კოსმონავტობაზე ვოცნებობო. ყოჩაღ შალვა, გაიხარე! ძააააალიან მაგრად დაანახე ხალხს ამათი ინტელექტი, გონებრივი მონაცემები და ის, რაც გველოდება ამათი მობრუნების შემთხვევაში ისე, საინტერესო იქნება მარგომ „ოცნების“ წევრებს რომ ჰქონოს, — თქვენი ერთიანი ნაციონალური გრძნობები როგორიაო?

გასაგებია, რომ ვერც კუკავა და ვერც ლორთქიფანიძე არჩევნების დამთავრებამდე ვერ მოაგვარებენ ვერანაირ პრობლემას, მაგრამ ეს მელია და ნაცვები რას ელოდებიან? გვპირდებიან, ამირჩიეთ და ტრანსპორტი, გაზი და დენი გაიფუდებო. მაგისი პარტიის წევრი სევედია დღეს ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი არ არის?



facebook





ალექსანდრა ჯავახიშვილი დღეს

რედაქციაში წერილი მივიღეთ. ფოთელი ნიკოლოზ კოდუა (ხელმოწერა გაურკვეველი იყო - კოდუა ან კოდუა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ უფრო გავრცელებული გვარი მიგვეწერა, რისთვისაც ბატონი ნიკოლოზს ბოდიშს ვუხდით. - რედ.) გვთხოვდა, მოგვეთხრო, გვყავდა თუ არა წარსულში მალალი სამხედრო-საზღვაო წოდების წინაპრები. მეტად საინტერესო ციკლი გამოვიდოდა, რადგან საქართველოში ზღვაოსნობას უძველესი დროიდან ეწეოდნენ და შავ ზღვაზე მეტად პროფესიონალ და სასტიკ მებრძობებადაც ვითვლებოდით. გასულ საუკუნეშიც მრავალი სამხედრო-საზღვაო პირი გვყავდა საქართველოში, ყოფილ საბჭოეთის სამხედრო სამსახურშიც მსახურობდნენ ჩვენი ზღვაოსნები, მაგრამ უფრო დაწვრილებითი ცნობებისთვის მივმართეთ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ მკითხველსა და საზღვაო საქმის პროფესიონალ მცოდნეს ბატონ დიმიტრი ვარძელაშვილს, რომლის საზღვაო თემაზე გამოცემული ნიგნების მიმოხილვასაც პერიოდულად წარვუდ-

გენდით მკითხველებს. ბატონი დიმიტრი ჩვეული ოპერატიულობით დაგვიკავშირდა. „ადმირალი, პოლანდიურად admiraal - არაბული წარმოშობის სიტყვაა - ადმირალ ბაბრ, რაც ზღვის მფლობელს ნიშნავს. ეს არის სამხედრო ფლოტებში ოფიცერთა უმაღლესი უმაღლესი სამხედრო ჩინი, საქართველოში კი უმაღლესი სამხედრო საზღვაო წოდება (კონტრადმირალი, ვიცე-ადმირალი, ადმირალი). დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონტრადმირალია ბატონი ალექსანდრე დავითის ძე ჯავახიშვილი. გარდა ბატონი ალექსანდრისა, ამ უმაღლეს სამხედრო-საზღვაო ჩინს ფლობდნენ სხვა ჩვენი თანამემამულეებიც: გიორგი აბაშიანი, სეთი კაპანაძე, ვლადიმერ ლეჟავა, სიმონ რამიშვილი, კონსტანტინე სუსნიაშვილი“. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ბატონი ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ განვილი გზას, ხოლო ბატონი ნიკოლოზს, რომელმაც ფოთიდან გამოგვიგზავნა წერილი, ვუსრულებთ თხოვნას და ვაიმედებთ, რომ შემდეგ ნომერებშიც შეძლებისდაგვარად მოგიტხრობთ ჩვენს ადმირალ თანამემამულეებზე.

# რატომ არ მიანიჭეს ლეონდარულ ქართველ მეზღვაურს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება

## დიდუბიდან ატომურ კრაისერამდე

ცოტა ხნის წინათ კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილს 82 წელი შეუსრულდა. ის დაიბადა თბილისში, დიდუბეში. ბავშვობა გაატარა ე.წ. „კორპუსებში“, რომლებიც „დინამოს“ სტადიონის გადაღმა მდებარეობდა და არაგვის გაკვირვება, რომ, როგორც ამ უბნის ბავშვების უმეტესობა, თავიდან სპორტმა გაიტაცა. მან 1952 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა, 1957 წელს - ბაქოს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი და გააგრძელა სამსახური ჩრდილოეთის ფლოტში. ამას მოჰყვა კიდევ სამი უმაღლესი სასწავლებელი ლენინგრადის საზღვაო აკადემიის ჩათვლით და სამსახური წყალქვეშა ხომალდებზე ჩრდილოეთისა და შემდგომ წყნარი ოკეანის საზღვაო ფლოტებში. ჰყავს შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

1970 წელს ის უკვე რანგის კაპიტანი და წყალქვეშა ატომური კრეისერის მეთაურია. 1972 წელს ის გახდა პირველი ქართველი, რომელმაც სპეციალური დავალებით 75 დღეში (15.01 - 31.03, 1972წ.) წყალქვეშა, ამოუსვლელად გაიარა 41 000 კმ და შემოუარა დედამიწას ისე, რომ შეუმჩნეველი გახდა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის. (ცნობისათვის: ამ წყალქვეშა ხომალდის ზომები იყო 140 X 12 X 12 მეტრი.). ასეთი რეისისათვის, როგორც წესი, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ენიჭებოდათ, ამ შემთხვევაში კი ხუმრობით უთხრეს: - წარდგენილი კი იყავი, მაგრამ ძალიან „გრძელი გვარი“ აღმოგაჩნდა. გამგები გაიგებს. მის შემდეგ ბატონმა ალექსანდრემ წყნარი ოკეანის სამხედრო ფლოტში კიდევ 17 წელი იმსახურა ატომური წყალქვეშა სტრატეგიული ხომალდების ბრიგადის მეთაურად, ფლოტის სარდლის მოადგილედ.

## მოულოდნელი ენთუზიასტი


1989 წელს საბოლოოდ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო და დარჩენილი წლები მის სამსახურში გაეტარებინა. საინტერესოა, რომ წამოსვლის წინ პქონდა კარგი შეთავაზებები როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამსახურში, მაგრამ საქართველოში დაბრუნება უფოცმანო გადაწყვეტილება იყო. ამას ხელი შეუწყო მისი უკრაინელი მეუღლის საქართველოში წამოსვლის განსაკუთრებული მონდომებამ. აქვე უნდა ითქვას, რომ მისდამი კეთილგანწყობილი თანამოსამსახურეები არ ურჩევდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას და აფრთხილებდნენ, რომ საქართველოში მალე არეულობები დაიწყებოდა (?).

შინ დაბრუნებულ ა. ჯავახიშვილს ხელგაშლით არავინ შეგებებია და სამსახური დაბალ სახელმწიფო თანამდებობაზე დაიწყო, არც კანონიერი საბინაო უზრუნველყოფა მიუღია და დღემდე მშობლების მიერ მიღებულ მოკრძალებულ ბინაში ცხოვრობს. ამ დროს ყველას გასაკვირად 57 წლის ა. ჯავახიშვილის სამუშაო სტაჟი 67 წელს შეადგენდა - შორეული აღმოსავლეთის მკაცრი კლიმატური და სამსახურებრივი რთული რეჟიმის პირობებში ყოველი ერთი წელი ორად ეთვლებოდა. 1992 წლიდან ბატონი ალექსანდრე შეუდგა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობას, გახდა მისი პირველი სარდალი და პირველი კონტრადმირალი. 1997 წლიდან ხელმძღვ-

ნელობდა სანაპირო-სასაზღვრო დაცვის ჩამოყალიბებას, შემდგომ წლებში კი საზღვაო ოფიცრების მომზადებას დავით აღმაშენებლის სახელობის სამხედრო აკადემიაში.

ბატონი ალექსანდრე აქტიურად, 114 დღის განმავლობაში მონაწილეობდა აფხაზეთის ომის საბრძოლო ოპერაციებში, არის ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი.

ა. ჯავახიშვილზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს მისი ღვაწლი ქართულ ენაზე სამხედრო-საზღვაო საბუთების შექმნის საქმეში.



წყალქვეშა ხომალდის პარისკოპთან

1995 წელს, მე - იახტმენმა და ეროვნული კატეგორიის მსაჯმა აფროსნობაში შევადგინე 56-გვერდანი ბროშურა „საზღვაო კვანძები“, რომელშიც მოთხრობილია სამოცამდე საზღვაო კვანძის შეკვრის შესახებ და წავედი საზღვაო ძალების სარდალთან, რათა ამ ნიგნის რედაქტორობა მეთხოვა.

თვალში საცემი იყო მისი „აპარტამენტების“ სისადავე: წინა ოთახში იდგა ჯარისკაცური რკინის სანოლი, სანური მაგიდა, ოპერატიული ტელეფონი, მაგიდას უჯდა მატროსი. მისი კაბინეტი იყო ასეთივე სადა ოთახი, ნიგნების კარადებითა და ჯარისკაცური მაგიდებით. კედლებზე ეკიდა რუკები.

შევედი, წამოვდგა, მიმითითა სკამზე, დაჯდა და მითხრა: - გისმენთ.

მე უხმოდ ამოვიღე მომავალი ნიგნის ფურცლები და დავუდე მაგიდაზე.

- ეს რა არის? - მკითხა.

- ბატონო ალექსანდრე, ეს მომავალი ნიგნია, რომლის რედაქტორი მინდა, თქვენ იყოთ.

- სადა მცალია ასეთი რაღაცებისათვის, - ჩაილაპარაკა და მიმედ დაიწყო ფურცლების დათვალიერება, მერე ფურცლას მოუხშირა, გაჩერდა... მეკითხება:

- კი, მაგრამ საიდან იცით თქვენ ეს საქმე? მიმითითა ფურცლებზე.

გუთხარი, რომ ვარ აფროსანი, ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, მაქვს უმაღლესი სასწავლებელში მუშაობის 30-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური და ზღვაში ავტონომიურად ცურვის 25-წლიანი გამოცდილება, ვარ რამდენიმე ნიგნის ავტორი.

დაფიქრდა და პაუზის შემდეგ მითხრა: - მოგესვენებათ არსებობს საბუთები საზღვაო პრაქტიკის შესახებ... და ეს იქნება ამ მიმართულების პირველი ნიგნი ქართულ ენაზე. გთხოვთ, ამის შემდეგ შეადგინოთ „გემზე მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკა“.

- ბატონო ალექსანდრე, თუ შევძლებ.

- შეძლებთ, - მომიჭრა საზღვაო ლექსიკის ლაკონურობით.

ასე დასრულდა ჩვენი პირველი შეხვედრა. გამოცა ათეული წლები რუსეთში გატარებული ადამიანის წმინდა ქართულმა. საუბარში სრულებით არ ეტყოდა, რომ ათწლეულების განმავლობაში ქართულ ენაზე პრაქტიკულად არ მეტყველებდა.

ბატონმა ალექსანდრემ გაითვალისწინა ნატოს გენერალიტეტის შენიშვნა ქართულ ენაზე სამხედრო-საზღვაო საბუთების არარსებობის შესახებ და ძალიან მალე საზოგადოებრივ სანყისებზე ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი სარედაქციო საგამომცემლო ჯგუფი, რომელიც ამუშავდა მისი გეგმებითა და ხელმძღვანელობით. საბუთების შედგენა მე დამევალა.


მას შემდეგ ორი ათეული წელი გადის და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის ოფიცრებისათვის, საზღვაო სასწავლებლების სტუდენტებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, მომზადდა 22 სახელმძღვანელო, მეთოდიკური და ნორმატიული საბუთი, 200 ნაბეჭდ ფორმაზე მეტი საერთო მოცულობით.

დღეს ბატონი ალექსანდრე პენსიონერია, თავი იჩინა მძიმე სამხედრო-პრაქტიკულმა საქმიანობამ, გადაიტანა უმძიმესი ქირურგიული ოპერაციები, გაუუარესა და მხედველობა. ამის მიუხედავად, უანგაროდ, ენერგიულად აგრძელებს ნიგნების რედაქტირებას და ასევე საკონსულტაციო საქმიანობას ანაზღაურების გარეშე, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი.

## დიმიტრი ვარძელაშვილი.

P. S. 30საბრძოლაზე შემთხვევით და ვიტყვი, რომ ბატონმა ალექსანდრემ გადაწყვიტა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება წინადაც გამოსცეს. ვფიქრობ, ეს საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართველი მეზღვაურების აღზრდის, პროფესიული დაოსტატებისა და სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების საქმეში. მან სამისო მუშაობაც დაიწყო: რადგან მხედველობა დაქვეითებული აქვს, ფონოგრამის სახით ჩაიწერა მომავალი ნიგნის ძირითადი შინაარსი. ფონოგრამის გაშიფვრიდან წინადაც ქვევამდე გასავლელ პროცესებს სახსრები სჭირდება, რასაც ბატონი ალექსანდრეს პენსია ვერანაირად ვერ გასწვდება. როგორც ვიცი, ბატონმა ალექსანდრემ მისი ნიგნის გამოსაცემად დახმარების თხოვნით მიმართა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“.

იმედი ვიტონით... დ. 3.



წყალქვეშა ხომალდის მაქეტი





